სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა

2020 წლის 21 მარტს, ამავე წლის 21 აპრილამდე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა[1], რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში გარკვეული უფლებები შეიზღუდა. ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია საერთაშორისო აქტებთან. ისინი, ასევე, უშვებენ გარკვეული უფლებების შეზღუდვას საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე.

2020 წლის 21 აპრილს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა ამავე წლის 22 მაისის ჩათვლით გაგრძელდა.[2]

საქართველოს „საკანონმდებლო მაცნეზე" დაცული ინფორმაციის თანახმად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ეს საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მეხუთე შემთხვევაა. მათგან მედიას პირდაპირი შეზღუდვა დეკრეტით მხოლოდ ერთხელ, 2007 წლის 7 ნოემბერს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს შეეხო, როდესაც ინფორმაციის მიღება და გავრცელება მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს შეეძლო. „შეჩერდეს ყველა ტელე და რადიომაუწყებლის მიერ ინფორმაციის მიღება და თავისუფლად გავრცელება ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით",- მითითებულია დეკრეტში.[3]

ევროპის საბჭოს მედია გარემოსა და რეფორმების ექსპერტთა კომიტეტის (MSI-REF) განცხადებაში ვკითხულობთ, რომ გამოხატვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება და ღიაობა, და არა ინფორმაციის კონტროლი, არის ევროპული დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, გავუმკლავდეთ ჩვენი ქვეყნების წინაშე მდგარ გამოწვევებს.[4]

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საქართველოში საჯარო ინფორმაციის გაცემა შეჩერებული იყო. ამავე პერიოდში აზრისა და გამოხატვის თავისუფლება არ შეზღუდულა, თუმცა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების წარმომადგენლებზე გავრცელდა ის ზოგადი შეზღუდვები, რომელიც დაწესდა და რომელსაც ყველა ვალდებული იყო, რომ დამორჩილებოდა.

ეს შეზღუდვები ეხებოდა მიმოსვლას, საგანმანათლებლო პროცესს, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, შეკრებებსა და მანიფესტაციებს, საჯარო სივრცეში თავშეყრას.

---

[1] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტი #1

[2] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის #2 ბრძანება

[3] საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 07 ნოემბრის დეკრეტი #1

[4] https://www.coe.int/en/web/freedom-expression/-/freedom-of-expression-and-information-in-times-of-crisis

რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საგანგებო მდგომარეობამ აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ინტერნეტის თავისუფლებაზე

საგანგებო მდგომარეობის დროს, შესაძლოა, სრულად შეჩერდეს საქართველოს კონსტიტუციით დაცული შემდეგი ნორმების მოქმედება:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება. ცენზურის დაუშვებლობა. სახელმწიფოს ან ცალკეული პირების მიერ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის აკრძალვა;
- აზრისა და გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლებათა შეზღუდვა მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობა სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლება პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.[5] აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებაა საგანგებო სიტუაციის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისათვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა.[6] თეორიულად, შესაძლებელია, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ინფორმაციის მიღების ერთადერთ წყაროდ საზოგადოებრივი მაუწყებელი მოგვევლინოს.

საგანგებო მდგომარეობის დროს, შესაძლოა, შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციით დაცული შემდეგი ნორმები:

- აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება;

---

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71

[6] ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 16

- ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება;
- ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა.[7]

რომელიმე ნორმის შეზღუდვის შემთხვევაში, აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს კონკრეტულად რაში გამოიხატება შეზღუდვა, უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული შეზღუდვის საჭიროება, ის უნდა იყოს პროპორციული და აუცილებელი.

გაითვალისწინეთ:

- საგანგებო მდგომარეობის დროს, შესაძლებელია, მოხდეს ახალი უფლებების, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა;
- ხშირად გადაამოწმეთ პრეზიდენტის დეკრეტით ხომ არ შეჩერდა/შეიზღუდა აზრის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლება.

გახსოვდეთ:
შეზღუდვა შეიძლება შეეხოს როგორც სამაუწყებლო, ასევე ბეჭდურ და ონლაინ მედიასაც.

საგანგებო მდგომარეობის დროს მოქმედი შეზღუდვები, რომლებიც გავლენას ახდენდა მედიის მუშაობაზე

<u>მიმოსვლის შეზღუდვა:</u>

2020 წლის 30 მარტიდან საგანგებო მდგომარეობის ვადით აიკრძალა 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით. 2020 წლის 17 აპრილის 12:00 საათიდან 27 აპრილის ჩათვლით კი აიკრძალა ყველა სახის მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება, გარდა მოტოციკლისა. აღნიშნული შეზღუდვა შეეხო იმ მედიასაშუალებების წარმომადგენლებსაც, რომლებმაც 30 მარტის 23:30 საათამდე ვერ მოასწრეს სპეციალური საშვების მოთხოვნით მთავრობის ადმინისტრაციისთვის მიმართვა.

2020 წლის 14 აპრილის #242 დადგენილების თანახმად, ამავე წლის 15 აპრილის 21:00 საათიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში აიკრძალა „ქ. თბილისის, ქ.

[7] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71

რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესვლა და ამ მუნიციპალიტეტებიდან გასვლა.“

ჩაკეტილ ტერიტორიებზე (მაგალითად, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში) მუშაობას განაგრძნობდნენ ადგილობრივი მედიასაშუალებები, ყველა სხვას შესვლა ეკრძალებოდა და ისინი ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით იღებდნენ.

<u>საჯარო ინფორმაციის გაცემის შეჩერება</u>

საქართველოს მთავრობის მიერ 23 მარტს გამოცემული #181-ე დადგენილების თანახმად, რომელიც ადგენს საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ცვლილებები შეეხო საჯარო ინფორმაციის გაცემის წესსაც. აღნიშნული დოკუმენტის მე-13 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციისა და პერსონალური ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადები საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში შეჩერდა. აღნიშნული დიდი გამოწვევა იყო მედიისთვის, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მასალის მომზადება ოფიციალური წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

გაითვალისწინეთ:

მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა, გარკვეული შეზღუდვები დარჩა, რომელიც პირდაპირ გავლენას არ ახდენს მედიის საქმიანობაზე, თუმცა გარკვეულწილად აისახება მასზე:

- შეზღუდული რჩება საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მათ შორის, მეტროპოლიტენითა და საბაგიროთი გადაადგილება და სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა.
- ყველა ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვითა და პაირბადით, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

გახსოვდეთ:
საკარანტინო ზონებად რჩება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი მუშევანი და სოფელი გეტა, ასევე - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.